ხელშეკრულება №2
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

5 იანვარი 2018წ.

1.ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ შ.პ.ს "ლაბორატორიული კვლევის ცენტრი", მისი დირექტორი გრიგოლ რუხაძის სახით (შემდეგში „შემსყიდველი") და მეორეს მხვრივ შპს "ხალიბი", მისი დირექტორის ირაკლი გორგოშიძეს სახით (შემდეგში "მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე: "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლისპირველი პუნქტის"ს" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების "გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, მხარეებს შორის მიღწეული შეთა ხმების გათვალისწინებით, დებენ სახელმწიფო შესყიდვემის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში "ხელშეკრულება").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია და ქვეკატეგორია

2.1 შესყიდვის ობიექტი- სამშენებლო-სარემონტო მასალების შესყიდვა
2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი- 44100000 –სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები 600 ლარის; 44400000 სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთნ დაკავშირებული საგნები 200 ლარის, 44500000- ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჯაჭვები და ზამბარები,-400ლარის, 44800000- საღებავები, ლაქები და მასტიკები- 200ლარის, 31300000-იზოლირებული მავთული და კაბელი 200ლარი, 31500000- გასანათებელი მოწყობილობა და ელექტრო ნათურები 200ლარი.

3. ხეშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1800 (ერთიათასრვაასი)ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები-- ხელშეკრულების დადებიდან 2018წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშ/ფაქტურა და სხვა.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს საწარმოს დირექტორი.
7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება –ლარებში.
7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშ-სწორებით-(გადარიცხვა).
7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10(ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა,ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ყველა ის გარემოება რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვაკლისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაევალოს თანამშრომელს.

10.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქცია მისაწოდებელი ან და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხის და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

10.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულების შესრულევების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი.

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი –მიმწოდებელთან, მეორე შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

11.3 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შ.პ.ს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი"	შპს "ხალიბი"
ქ. ფოთი, გ.ვატაევის ქ. №3ა	მის:ფოთი, სამეგრელოს მოედანი
საიდენ.კოდი: 215139348	საიდენ. კოდი:415082760
ს/ს ლიბერთი ბანკი, ქ. ფოთი	ს/ს თიბისი ბანკი,
მ/ა GE12LB0113140194132000	მ/ა GE90TB7062536080100005
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
დირექტორი: /გ. რუხაძე/	დირექტორი: /ი. გორგოშიძე/